შპს ,,საქართველოს მელიორაცია“

მარნეულის მუნიციპალიტეტში, აღმაშენებელი-თამარისის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის საწყისი მონაკვეთის რეაბილიტაცია
დეტალური საინჟინრო პროექტი

სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია

ობიექტის ანოტაცია

თბილისი
2021 წ.

სარჩევი

1. ობიექტის ადგილმდებარეობა და არსებული მდგომარეობა.

2. საპროექტო გადაწყვეტილება.

1. ობიექტის ადგილმდებარეობა და არსებული მდგომარეობა

საპროექტო ობიექტი მდებარეობს, აღმოსავლეთ საქართველოს, ქვემო ქართლის რეგიონში, მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება ბოლნისის, ჩრდილოეთით თეთრიწყაროს, ჩრდილო-აღმოსავლეთით გარდაბნის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით ესაზღვრება აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები.

აღმაშენებლის არხი წყალს იღებს მდინარე ხრამიდან, რომელსაც გააჩნია გვერდითი კაპიტალური წყალმიმღები ნაგებობა. მდ. ხრამის ადიდებამ გამოიწვია კალაპოტის შეცვლა, რამაც წარეცხა აღმაშენებლის არხის გარკვეული ნაწილი სათავე ნაგებობასთან, რის შემდეგ განხორციელდა მიწის არხის ტრასის გადატანა. მიწის არხის გადატანის ღონისძიების მიუხედავად მდ. ხრამი აგრძელებს კალაპოტის შეცვლას და საფრთხეს უქმნის ახლად გაჭრილ მიწის არხს.

2. საპროექტო ღონისძიებები

მარნეულის მუნიციპალიტეტში, აღმაშენებელი-თამარისის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის საწყისი მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტი ითვალისწინებს შემდეგ სამუშაოებს:

- მონოლითური რკინაბეტონის არხის მოწყობას;
- ხარისხოვანი ფლეთილი ქვის წყობის და დროებითი სარეაბილიტაციო გზის მოწყობას;
- პკ2+05-ზე ბეტონის მართკუთხა კვეთის არხიდან ტრაპეციული კვეთის მიწის არხში გადამყვანი კვანძის მოწყობას.

ობიექტის სამშენებლო სამუშაოების ხანგძლივობა შეადგენს **97** კალენდარულ დღეს (რომელშიც გათვალისწინებულია მხოლოდ მშენებლობის ვადა, სავეგეტაციო პერიოდის გაუთვალისწინებლად).

სამშენებლო სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს **521’677.00** (ხუთას ოცდაერთი ათას ექვსასსამოცდაჩვიდმეტი) ლარს.